ჩანგი

№ 29

ხუთშაბათი, 6 აგვისტო 1909 წ.

ტფილისის სახელმწიფო ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ. ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ სადამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. სადამოს 2 საათამდე და სადამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს დ-მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.** ინახავს ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპალურ წერილებზე გონორარი-შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წვრილმანთ პასუხისათვის საჭიროა **საფოსტო მარკები**. წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. **ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა** ორი აბაზი. **ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, типографія „Сорапань", **Калистрату Константиновичу Цуладзе.**

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით **7** მან., ნახევარი წლით **4** მან.

ქალაქ გარეთ	თფილისში
3 თვით—2 მან. 50 კაპ.	3 თვით—2 მან. 20 კაპ.
1 „ — — 90 „	1 „ — — 80 „

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან— **ერთი შაური**

რედაქციის ადრესი:

რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлисъ, тип. „Сорапань", **Калистрату Конст. Цуладзе.**

გაიხსნა ახალი
თფილისის

კერძო სამკურნალო

ლიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი **695**).

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. ვ. ლამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა.ი პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირისა 12—1 ს.; ყმელის, ცხვირის და ყურის ავათყ.

ექ. ბ. ვ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. ვ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომბერელი: ყოველ ღღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუხხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური **გამოკვლევანი**, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—30

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. სადამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. **ავჭალის № 71** (ციოლჩნი ქუჩის ახლოს)

აბასთუმანში

კბილის ექიმი

სამსონ ვაშაყმაძე

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

მასწავლებელი

თ. კიკვაძე

ამზადებს ქალ-ვაჟთ **გიმნაზიებისა, რეალური, საკომერციო, მიწის მზომელთა და იუნკერთა** სასწავლებლებისათვის, **კადეტთა კორპუსისა, სამასწავლებლო ინსტიტუტისა, სამუხგალტერო** კურსებისათვის, **სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის ნაშეგირდთ.**

მიიღება ანბანის უცოდინარი პატარა ბავშვები, რომელთა **ჯგუფში ჩაწერა** უკვე დაწყებულია.

მასწავლებლათ მოსამზადებელთა პირველ ჯგუფში უკვე ეწერებიან და სწავლა დაიწყება, როცა 6 კაცი შესრულდება.

სპეციალური მომზადება ქართული გიმნაზიისათვის.

ქირა თითო თვის **წინდაწინ.**

ადრესი: ვერა, ოლღის ქუჩა. ზემელის აფთიაქის ახლო, № 17. 20 აგვისტოდან ადრესი გამოიცვლება. (18—1)

ფერშალი

ლ. ბარკალაია

უცრის ყვავილს, იღებს ყელჭირვებით, ხუნაგით და ვენერიული სენით ავათმყოფებს 3 საათიდან 6 საათამდე. **გოგოლის ქუჩა № 68.**

ფიდიბე დავითის ძე ერქომაიშვილი ოჯახობით ულრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმ პირთ, რომლებმაც პატივი სცეს მათ და ანუგეშეს უდროვოთ **დაკარგული** მათი **დაუვიწყარის** შვილის **ვასილის** დაკრძალვაზე.

თფილისი, 6 აგვისტო

დღევანდელ წუთზე თამამათ შეიძლება ითქვას, რომ სწორეთ ეს ის დროა, რასაც შენატროდა ჩვენი პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი. ყველგან, მთელი რუსეთის სივრცეზე სამარისებური სიჩუმეა, არც ქალაქებში, არც სოფლებში მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის არაფერი არ ისმის, სამხედრო და სამოქალაქო სასამართლოებმა თავისი მოვალეობა მთავრობის წინაშე პირნათლათ შეასრულეს, 1904—1905 წლებში განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის მიმღებთაგანი ზოგიერთები სახრჩობელაზე ჩამოკიდეს, ზოგიერთები საუკუნო კატორღაში და ციმბირში მიარბძანეს, დანარჩენები კი, ციხეებში ჩაყარეს და სამართალს, კარგს ვინ ჩივის, სულაც ვერ ღირსებიან დღემდის. ყოველგვარი საზოგადო ინიციატივა, საზოგადო საქმე დახშულია და თუ სადმე იჩინა თავი, ის მთავრობის აგენტების მეცადინეობის მეოხებით უდღეური შეიქნა და საუკუნოთ განუტევა სული. სხვა კლასებზე მეტი ენერგია გამოიჩინეს მუშებმა, ყოველი ღონისძიება იხმარეს სრულიათ კანონიერ ნიადაგზე მდგარიყვენ და 4 მარტის კანონით ესარგებლათ პროფესიონალური ორგანიზაციების დასაარსებლათ, მაგრამ თითქმის ყოველმა ცდამ ფუჭათ ჩაიარა და დაარსებულ მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციათაგან ერთი მეასედიც აღარ არსებობს: უმეტესი ნაწილი მათგან მთავრობის წარმომადგენლებმა დაკეტეს, მთავრობის რისხვისგან თავდახწეულნი საერთოთ გამეფებულ ინდიფერენტიზმის მსხვერპლნი შეიქნენ.

ერთათ ერთი ძალა, რომელნიც ქმნის საზოგადოებრივ აზრს, იძლევა ინიციატივას, მცველათ უდგია საზოგადო ინტერესებს, პრესა (მხედველობაში არა გვაქვს შავრაზმული პრესა) პოლიციურ თვითნებობის, უზომო ჯარიმების, ცირკულიარების გამო ძლივს ღაფავს სულს და ვერ გამოლუყენებია ის თავისუფლების ნატამალი, რომელიც მას მიენიჭა 17 ოქტომბრის აქეთ. მაშასადამე, დღევანდელი წუთის სურათი ასეთია: ახალი მოძრაობის არსად არაფერი ისმის, ძველი მოძრაობის სრული ლიკვიდაცია მოხდა, კერძო და საზოგიდოებრივი ინიციატივა მისუსტებულ-მიყუჩებულია, ყოველგვარი ორგანიზაციები საერთოთ მოქალაქეების და მით უფრო მუშების, სახელმწიფოს მყუდროებისთვის საშიშარ მოვლენათ არის აღიარებული, პრესა პოლიციის კლანჭებში ძლივს-ძლივობით სულს ღაფავს. აი საუცხოვო ნიადაგი ბ. სტოლიპინისთვის, აი სიწყნარე, აი მშვიდობიანობა. მერე სადაა რეფორმები?! არსაიდან ძახილი, არსაიდან ხმა არ მოისმის. მთავრობა გაჩუმებულია, ის კიდევ საშიშოათ გაიძახის, მას ყველგან „ბუნტი" ელანდება. ან კი რა ქნას? კანონიერ ნიადაგზე დადგომა არ ეხერხება. კანონი და კანონიერება რუსეთის მოხელეთათვის ეს რალაც უცხო ხელია.. რომელი უწყებაც გნებავთ აიღეთ: ყველგან ერთი და იგივე სურათი გადაგეშლება თვალის წინ. ახლა ყველას პირზე აკერია საინტენდანტოს მოხელეები, ყველა სენატორ გარინის რევიზიაზე ლაპარაკობს. მართლაც, წელ-წადზე მეტია, რაც რევიზიას აკეთებს და ჯერეც ბოლო არ უჩანს. ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში, მეორედან მესამეში და ყველგან ერთი მეორეზე საზიზღარი ფაქტები, ბოროტ-მოქმედება ჩნდება. მაგრამ ერთი შეხედვით თითქოს გაუგებარი, მაგრამ ჩვეულებრივი ამბავი ხდება. რევიზორი მიდის, რევიზიას ახდენს, ააშკარავებს ყოველგვარ სისაძაგლეს და თქვენ გგონიათ ვინმეს შეეშინდა, არა, პირიქით, ის „სასარგებლო მოღვაწეობას" აგრძელებს, ქრთამებს ძველებურათ იღებს, ეს მისთვის მიუცილებელ მოთხოვნილებათ გადაქცეულა, ეს მისი არსებაა. ეს ხდება საინტენდანტოში, იგივე ხდება სხვა უწყებებში. ბავშვების მოტაცება დღეს შუაგულ და მერე გამოსყიდვა, ეს როგორ მოგწონთ?

რა უნდა გააწყოს სტოლიპინმა ძლიერ მოწადინებულიც რომ იყოს. ყველა ამას აღმოფხვრის? რომელ ერთს უნდა გაართვას თავი? ამას უნდა სხვა სტოლიპინი, რომელმაც უნდა გასწმინდოს ეს ავგიოსის თავლები.

იტყვიან, მალე დუმა შეიკრიბება და შეიძლება იმან რაიმე იღონოსო „ნოვოე ვრემიას" ერთხელ სიმართლე წამოცდა: „ჩვენი მთავრობა ბუნტის მოლოდინის შიშს შეუპყრია. დუმა კი გარეკისასო" და მართალიცაა. ჯერ რა უნდა იყოს სამი ივნისის კანონის ძალით შედგენილი დუმა, საცა „ზუბრების„ ბატონობაა და მერე კიდევ, როცა ესენიც არ არიან დარწმუნებულნი დუმის არსებობის სიმტკიცეში. რა ძალა გამოგვიყვანს ამ საშინელი მდგომარეობიდან. ეს ძალაა—ძალა საზოგადოებრივი, სხვა ძალის იმედი არ უნდა გვქონდეს. ისევ მის გამოღვიძებას თუ შეუძლია ამ კვანძის გახსნა და ჰაერის გაწმენდა.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 აგვისტო.

ოსმალეთი

სტამბოლი. სახელმწიფოთა უარმა საბერძნეთის რეფორმების კანტროლის უფლებაზე, ფინანსიურ კომისიის, და გენერალურ ინსპექციის გაუქმებამ **და** სამოქალაქო აგენტების გაწვევამ ახალგაზდა ოსმალთ მიანიჭა სასურველი დიპლომატიური გამარჯვება. ეხლა მოსალოდნელია კრიტოსის საკითხში მათი მხრით სათანადო დათმობა.

სმირნა. დღეს გავიდა ზღვაში ათი გემისგან შემდგარი ოსმალეთის ესკადრა. ოსმალეთის გემთა ამხანაგობა მონაწილეობას ღებულობს საბერძნეთის გემთა მიმოსვლის ბოიკოტში და ბერძენ მოსამსახურეთ სამსახურიდან ითხოვს.

სტამბოლი. სასანიტარო საბჭომ მოაწყო სევასტოპოლ-ადესიდან მომავალ **მგზავრების** მედიცინური ვასინჯვა.

საზღვარ-გარეთ

სტოკჰოლმი. მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესის შვედთა საორგანიზაციო კომიტეტმა დაადგინა—გადატანილ იქნას ეს კონგრესი გასულ წლისთვის, ვინაიდან კონგრესში მონაწილე უცხოელებს ჰგონიათ, რომ ახლა, საერთო გაფიცვის დროს, უხერხულია კონგრესის გამართვაო.

ვენა. როგორც ხმებია, იმპერატორ ფრანც-იოსებმა პასუხი გმუგზავნა პაპს იმ შუამდგომლობის გამო, რომელიც აღძრა მან ზაგრებსკის საქმის შესახებ. პასუხში ირწმუნება, რომ სასამართლო სრულიათ მიუდგომლათ გაარჩევს საქმეს.

ბერგენი. გუშინ გაიხსნა მეორე საერთაშორისო კონგრესი შავ ჭირთან საბრძოლველათ. კოროლმა სალამი უძღვნა სიეზდის წევრებს.

რუსეთი

პეტერბურგი. კანონთა კრებულში გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება 1910 წლის 24 იანვრამდე გაგრძელების შესახებ იმ განსაკუთრებულ რწმუნებისა, რომელიც მინიჭებული ჰქონდა კავკასიის ნამესტნიკს კასპიის ზღვაში მცურავ საეკონომიო ფლოტზე.

იაროსლავლი. საგუბერნიო ერობის კრებამ სახელმწიფო საბჭოს წევრათ აირჩია აზნაურობის სამაზრო წარმომადგენელი იაკოვლევი, ოქტომბრისტი, 45 წლის. საგუბერნიო საერობო სამართველოს წევრი, პეტერბურგის უნივერსიტეტში კურს დამთავრებული.

იურიევი. ნარვაში დასრულდა ესტონელთა სიფხიზლის საზოგადოების სიეზდი.

ჩერნიგოვი. ჩერნიგოვის მაზრის სოფ. ნედანჩიჩახში ცეცხლმა გაანადგურა 70 გლეხის სახლ-კარი. ცეცხლში დაიღუპა დედაბერი, ბავშვი და მიმდინარე წლის მოსავალი ეზოებში შენახული.

პერემიშლი. სოფ. ტერნოვაში გაძარცვის მიზნით მოკლეს მღვდლის (კოლი, მკვლელი, მეზობელი სოფლის გლეხი, რომელმაც გაიტაცა 2,000 მან., მეორე დღეს დაიჭირეს.

ლიბავა. გუშინ ღამით ზღვაში მანევრები დაიწყო ლიბავასა და კრონშტადტს შორის. ბალტიის ფლოტის სხვადასხვა გემებმა კონტრ-ადმირალ ებერგარდტის ხელმძღვანელობით.

პეტერბურგი. უმაღლესათ ნება დაერთო პეტერბურგის ქალაქის საბჭოს დაიწყოს მთელ რუსეთში შემოწირულებათა შეკრება პეტერბურგში გოგოლის ძეგლის დასადგმელათ.

ხოლერა.

პეტერბურგი. ავათ გახდა 80, მოკვდა 9, ავათ არის 365.

არხანგელსკი. მთელ გუბ. ავათ გახდა 8, მოკვდა 3.

პოლოკკი. 2 და 3 აგვისტოს ხოლერერით ავათ გახდა 5. ღამით 4 აგვ. ავათ გახდა კადეტთა კორპ. მოსამსახურის ცოლი. მეცადინეობა კორპუსში გადადებულია 31 აგვისტომდე. სასამართლოს სესია გადადებულ იქნა ნაფიც მოსამართლეთა გამოუცხადებლობის გამო.

პოლტავა. გუბერნიაში ავათ გახდა 5, მოკვდა 2.

რიგა. ავათ გახდა 2, მოკვდა 1.

ტვერი. გუბერნიაში ავათ გახდა 23, მოკვდა 11.

კრონშტადტი. ავათ გახდა 1.

იაროსლავლი. გუბერნიაში ავათ გახდა 6, მოკვდა 5.

უკანასკნელი ფოსტა

ოსმალეთი.

კრიტოსის საკითხი. ოსმალეთის ელჩს დიდიხანს უსაუბრია გერმანიის მინისტრ ბეტმან-გოლვეგთან კრიტოსის კუნძულის შესახებ. ამბობენ, ბეტმანს არ მოუწონებია ოსმალეთის პოზიცია ამ საკითხში და უკმაყოფილება გამოუთქვამს ამის შესახებ. უარყოფით ეპყრობა პორტის მოთხოვნილებებს ბერლინის ჟურნალ-გაზეთებიც. მათი აზრით მფარველ სახელმწიფოებმა უნდა ყოველი ღონე იღონონ კრიტოსის დამოუკიდებლობის დასაცველათ და ახალგაზრდა ოსმალთა აფიცრების თავმოყვარეობის ასალაგმავათ.

კრიტოსის კუნძულიდან ოსმალეთის ესკადრის გაწვევა. „ბაქოს" სიტყვით პორტამ ტელეგრაფით აცნობა ამ დღეებში კრიტოსის წყლებში წასულ ესკადრას, რომ დაბრუნდეს მარმალიროს ზღვაში.

სპარსეთი.

სპარსეთიდან რუსის ჯარის გაყვანის შესახებ. როგორც „ბაქოს"-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ, რუსეთის მთავრობას უარი უთქვამს სპარსეთიდან ჯარის გაყვანის შესახებ.

სად დაბინავდება მაჰმედ-ალი ეს კითხვა ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა. უფრო სარწმუნოთ მიაჩნიათ, რომ მას დაასახლებენ ყირიმის სამხრეთ ნაპირებში

რუსეთი

ხმები კოკოვცევის გადადგომის შესახებ. მაღალ წრეებში ლაპარაკია ფინანსთა მინისტრის სამსახურიდან გადადგომის შესაძლებლობის შესახებ. ამას იმითი ხსნიან, რომ მინისტრს გამწვავებული დამოკიდებულება აქვს ინგლისის კაპიტალისტებთან, რომელიც ხელს უშლის რუსეთ-ინგლისის ფინანსიურ—ეკონომიუ დაახლოვებასო.

თითონ კოკოვცევი, როგორც ამბობენ, აღიარებს ამას და ცდილობს, რომ დანიშნონ რაიმე დიპლომატიურ თანამდებობაზე.

სტუდენტი დამცემლები. როგორც დეპეშებში იყო მოხსენებული, მოსკოვში ქ-ნ შახოვსკის სახლში შევარდენ ბოროტგანმზრახველები. ეხლა გაზეთები იტყობინებიან, რომ ისინი აღმოჩენილან სტუდენტები, რომელთაგან ერთი დაიჭირეს, ხოლო მეორემ დიდი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, თავი მოიკლა.

სახ. დუმის არჩევნებზე პეტერბურგში. პარტიულ წრეებში ბევრი ლაპარაკია გამორიცხულ კოლიუბაკინის ნაცვლათ ახალი კანდიდატის წამოყენების შესახებ. კადეტების პარტია აყენებს კანდიდატათ მიწათ-მოქმედების ყოფილ მინისტრს კუტლერს. ოქტომბრისტებმა დაასახელეს ორი კანდიდატი: მილიუტინი და ნიკანოროვი. საყურადღებოა ტრუდოვიკებს შორის შექმნილი განწყობილება. მათ აზრათა აქვთ მხარი დაუჭირონ კადეტების კანდიდატს კოლიუბაკინის უსამართლოთ გამორიცხვის საპროტესტოთ.

კიევის საინტენდანტოში. მისაღებ კომისიის გადაყენებულ წევრთა შესახებ წინასწარი ძიება დასრულდა. სამხედრო გამომძიებელს ძვირფასი მასალები შეუგროვებია, რომელიც გამოარკვევს თითოეულის როლს. საერთოთ კი, მეტ-ნაკლებათ ყველას მისცემენ სამართალში.

პსკოვის საინტენდანტოში. ცუდათ მიდის საინტენდანტოების საქმე. ყველგან ჩნდება „ძაღლის თავი". პსკოვის საინტენდანტოს საწყობში არ აღმოჩენილა 100 პარუსინის „პალატკა". ქურდობის უმთავრესი საგანი კი ყოფილა ფქვილი.

გლეხების საჩივარი. სმოლენსკის გუბერნიის იუხნოვსკის მაზრის ბაბინოვსკის ვოლოსტის სოფ. სიდოროვიჩის სახლის პატრონებმა საჩივრით მიმართეს სახ. დუმის დეპუტატ ე. გეგეჭკორს.

გლეხებმა აიღეს იჯარით ქ-ნ კოვალევის სტაროსტისაგან საძოვარი მინდვრები, მაგრამ აიღეს—სწერენ ისინი—„სიტყვიერათ და პირობა არ შეუკრავთ". „როდესაც მოვიდა ქ-ნი კავალევისა—ამბობენ ისინი—ჩვენ მივედით მასთან

նամակներ, մամլո տարեգրություններ, հանրային հարցերի քննություններ, գրականության և արվեստի մասին հոդվածներ, գեղարվեստական գրվածքներ, թարգմանություններ, ինչպես նաև գրաքննության ենթակա հոդվածներ, 200 ձեռագիր էջ, 200 ձեռագիր, միայնակ էջերով, ամենագլխավորը՝ ինքնագրերի ամբողջական հավաքածու՝ Հայ գրողների միությունը ստանալու դեպքում՝ հանձնելու է Ազգային գրադարանին։ Ինքնագրերի ամբողջական ցանկը՝ 200 էջերի համար՝ 2000 դրամ։ Գնորդները դիմեն Ազգային գրադարան։

Ամենամեծ զարմանքով տեսանք, որ Ազգային գրադարանի ինքնագրերի բաժնի մասնագետ Ս. Ս. Ս.

საზოგადოების საყურადღებოთ!

„ჩანგი“-ს კანტორა აცხადებს, რომ რკინის გზის შეაფების კონტრაგენტმა ლოკაუტი გამოგვიცხადა და ამიტომ სადგურებზე ჩვენი გაზეთი აღარ იშოვება. მსურველთ შეუძლიათ იყიდონ ნომრები ქალაქ-დაბებში ამხ. „სორაპანის“ აგენტებთან.

„ჩანგის“ კანტორა.

ბათ არ ესმის კანონიერება, უნდობლათ უნდა უყურებდეს ორგანიზაციათა კეთილსინდისიერებას, რადგან საქმის მდგომარეობას შეუძლია მუშებსა და მწარმოებელთ ისეთი ზარალი მიაყენოს, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში გამოსწორება შეუძლებელი გახდება. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. საერთო კრებაზე ხშირათ სიტყვებს გაიგონებთ, რომლითაც გაფიცვისკენ მოუწოდებენ საზოგადოების ისეთ ელემენტებს, რომლებთაც არაფერი საერთო არა აქვთ რა მებრძოლ მხარეებთან, რომ ვნება მოუტანონ წარმოების იმ დარგს, რომელიც მოქალაქეთათვის მეტათ საჭიროა.

მუშათა სასახელოთ ჯერ-ჯერობით საზოგადოებრივი მშვიდობიანობა არ დარღვეულა, მაგრამ საფრთხილო ხდება მომავალში ასეთი მდგომარეობა, რადგან [illegible] ვაფიცვა გაფარ[illegible]ოვდება და სხვა წესებსაც მოედება, ხელშეკრულებანი დაირღვევა და ეს მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდება, იმ შემთხვევაში მუშებსა და მწარმოებელთ დიდი ვნება მიეცემათ.

მთავრობამ საბოლოოთ გადასწყვიტა წესიერება ყველა კანონიერ საშუალებებით დაიცვას და თვალ-ყური დაიჭიროს, რომ საერთო საზოგადოებრივ მოვალეობას ყველა ასრულებდეს. სანამ საქმე წახდებოდეს, მთავრობას სურს ორივე მოწინააღმდეგე ბანაკის ბელადთ, რომ ამათ ხომები მიიღონ მოსალოდნელ უფლებათა დარღვევის თავიდან აცილებენათ. მთავრობის ცნობებით არც ერთ მოწინააღმდეგე მხარეს არ უნდა, რომ ამ ჟამათ მთავრობა გაერიოს საქმეში და უნდათ დამოუკიდებლათ აწარმოვონ ბრძოლის საქმე, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არა თუ შეთანხმებისა, არამედ მომავალში მოწინააღმდეგე მხარეთა შორის მკვიდრი შეთანხმების იმედი ნაკლები იქნება, თუ ბრძოლის დროს არსებულ პირობებსა და ვალდებულებათ ფეხს ქვეშ გათელავენ და ამნაირათ, დაანგრევენ თვით იმ საფუძველს, რომელზედაც აგებული აქვთ ხელშეკრულება; დაანგრევენ არსებულ შეთანხმებისადმი ნდობას“.

მუშებში შეფის ამ მოწოდებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. „სოციალ-დემოკრატის“ ფურცლებზე შეფის წინააღმდეგ მრავალი ცხარე წერილი დაისტამბა. (რეჩ.)

ახალი ამბები

ტუსაღის გაქცევა სასამართლოს დარბაზიდან. 3 აგვისტოს თფილისის სამხედრო საოლქო სასამართლოში დაიწყეს საქმე ზაქარია და ივანე ქვლივიძეთა, სპირიდონ ამაღლობელისა, ნინო თოფურიძისა, პეტრე ჯიაძისა, ალექსანდრე გელოვანისა, ოლღა ნათაძისა, ნადია კიკნაძისა, ერმოლაოზ სირბილაძისა, სპირიდონ ვაშაკიძისა გერასიმე შალამბერიასი და ევგენი არჩვაძისა, რომელთაც რ. ს. დ. პარტიის წევრობა ბრალდებათ, მონაწილეობა მიიღეს თფილისის კომიტეტის მე-7 რ. ორგანიზაციის საქმეებში და პარტიული მიზნით კრება გამართეს. ყველა ბრალდებულები ნინო თოფურიძის გარდა, დაპატიმრებულნი არიან მეტეხის ციხეში. ნინო თოფურიძე კი 1000 მანეთის თავდებით განთავისუფლებულ იქნა და ამჟამათ ის სად იმყოფება არავინ იცის. 3 აგვისტოს სასამართლომ მოწმეთა ერთი ნაწილს გამოკითხა. სულ 30 კაცი მოწმე გამოიწვიეს. ამათში არ გამოცხადდა 6 კაცი. საქმის გარჩევა 4 აგვისტოსაც გაგრძელდა. ამასთან სასამართლოში ერთმა ბრალდებულთაგანმა—სპირიდონ ამაღლობელმა განაცხადა, რომ მისი გვარი და სახელი მელიტონ ფილიაა, ოზურგეთის მაზრის ს. ნიგოითის მცხოვრები. საქმე დახურულ კარებში გაირჩა. სასამართლოში დარჩენ მხოლოდ სამ სამი კაცი ნაცნობნი და ნათესავნი ბრალდებულებისა. სასამართლოდან 4 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, როდესაც რამდენიმე წუთით შეწყდა სამხედრო-სასამართლოს სხდომა, დარბაზშიდ ბრალდებულებსა და დამცველებს შორის მუსაიფი გაიმართა. ამ დროს ყველასგან შეუმჩნევლათ გავიდა ხალხს შეუერთდა ერთი ბრალდებულთაგანი მელიტონ ფილია. საჩქაროთ გამოედევნენ, მაგრამ მის გზა-კვალს ვერ მიაგნეს. პოლიცია და ჯარისკაცები ფეხზე დადგა. გაჩხრიკეს საბებიო ინსტიტუტის მახლობელი ადგილები. ალყა შემოარტყეს მთელ ვერას და ყველა უბნები გაჩხრიკეს. პროცესის დასრულების შემდეგ, ყველა დამსწრენი საპოლიციო ნაწილში წაიყვანეს და ადრესები ჩამოართვეს. 4 აგვისტოსვე ღამის 12 საათზე სასამართლომ განაჩენი გამოიტანა, რომელსაც შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

ახალი რეპრესიები ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ. რკინის გზის შეაფების კონტრაგენტმა ჩვენი გაზეთი—„ჩანგი“ ძველ პირობებში, ე. ი. სამ ნახევარ კაპეიკათ აღარ წაიღო, თუმცა სხვა ქართული გაზეთები ამ ფასებში მიაქვს. უფრო იაფათ ნომრის მიცემას ვერ დავთანხმდით. ლოკაუტი გამოგვიცხადა. გაზეთი არც თვითონ მიაქვს და არც სხვებს აძლევს უფლებას რკინის გზის ფარგლებში გაჰყიდოს. ამიტომ რკინის გზებზე მოგზაურთ ჩვენი გაზეთის შეძენა შეუძლიათ მხოლოდ ქალაქ-დაბებში „სორაპნის“ აგენტებთან და გაზეთების დამტარებლებთან.

თფილისის რეალური სასწავლებლის შენობა. ინჟენერმა ოგანჯანოვმა უკვე დაასრულა პროექტი თფილისის რეალური სასწავლებლის შენობისა. შენობა სამსართულიანი იქნება გარდა სარდაფისა, რომელშიაც მოთავსებული იქნება მოსამსახურეთა ბინა, ტანსამოსის შესანახი ოთახები და სხვ. 1-ლსა, მეორესა და მე-3 სართულში საკლასო ოთახები იქნება გაკეთებული, თითო კლასისთვის ორ-ორი. განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული საბუნებისმეტყველო საგნებისთვის. განზრახულია კარგათ მოეწყოს ფიზიკური კაბინეთი, აუდიტორია და ლაბორატორიები მოსწავლეთათვის, ფოტოგრაფიის კაბინეთი და სახლის სახურავში ობსერვატორია; კაბინეთი გეოგრაფიისა, ისტორიისა, ხატვისა და სხვა საგნებისათვის. სასწავლებელს ექნება ეზო, სადაც დახურული ბაქანი იქნება, რომ ავდარში მოსწავლეებს დროს გატარება გაშლილ ჰაერზე შეეძლოთ. ეზოსთან ბაღი, რომელიც მტკვრის ნაპირათ მდებარეობს. შენობის ასაგებათ მთავრობამ 220 ათასი მანეთი გადასდო. განზრახულია შენობის აგება სექტემბრიდან დაიწყონ. ამ მიზნით სასწავლებლის დირექტორი აგაპიევი გუშინ პეტერბურგს წავიდა. იგი სამინისტროს წარუდგენს პროექტს დასამტკიცებლათ.

თფ. პოლიცმეისტრის ბრძანება. თფ. პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა მისდამი რწმუნებულ პოლიციის ბოქაულებს აცნობოს თავიანთ ნაწილში ხალხს, რომ ღამით 7 აგვისტოს კავკასიის მე-2 მსროლელთა ბატალიონი გარნიზონის სასროლ ადგილას ტყვიის მტყორცნელებს ისვრის საცდელათ.

ქალაქის სტიპენდიები. მიმდინარე სექტემბრიდან თფილისის ქალთა მესამე გიმნაზიაში ქალაქის სამი სტიპენდია არსდება. თხოვნები მიიღებიან.

— აბესალომოვის სტიპენდიაზე, რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტში განთავისუფლდა, თხოვნები ჯერ არ მიიღება, სტიპენდია სხვა ქალაქის მაღალ სასწავლებელში მოსწავლეთაც მიეცემა.

წარმოდგენა საზაფხულო თეატრში. ხუთშაბათს, 6 აგვისტოს, სათავადაზნაურო საზაფხულო თეატრში წარმოადგენენ კომედია „ადვოკატ მელაძეს“, არტისტების სასარგებლოთ.

სიმართლის აღდგენა. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში „თფილისის ფურცლიდან“ გადმობეჭდილი იყო თითქოს ბათუმში „ბატ. ნოვ.“ შესყიდვას აპირებდეს ბ. დემურია, ბ. ვერუს ხარჯით, რომლის („ბატ. ნოვ.“) ხელმძღვანელათ ცნობილი პალმი იქნებაო. გუშინ ამის შესახებ ბათუმიდან ბ. დემურიასაგან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „ცნობა ჩემ მიერ „ბატ ნოვ.“ შეძენის შესახებ ვერუსთან და პალმთან ერთათ წმინდა პროვოკაციაა. გთხოვთ, სიმართლის აღსადგენათ მოათავსოთ ეს დეპეშა თქვენს გაზეთში“.

ბიქტორ ბოლქვაძის გარდაცვალების გამო რედაქციამ მიიღო სამგლოვიარო წერილი, რომელითაც თავიანთ ულრმეს მწუხარებას აცხადებენ ლუკა და ილია კალანდაძენი და ილიკო ლომთაძე-

სხვა და სხვა ამბები. მუხრანის ხიდთან პოლიციამ დააპატიმრა ნიკოლოზ ჟურავლევი და მიკიჩ ვარტაზარიანცი. ამათ არმენაკ გრიგორიანცის ბინიდან, ისიდოროვის შესახვევში, სხვა და სხვა ნივთების მოპარვა განიზრახეს.

— 3 აგვისტოს პოლიციამ დააპატიმრა ბაღდასარ ფირუმიანცი, რომელიც სახლში შევარდნია ოპრეტის შესახვევში გაიანე დანელიას და 250 მანეთი მოუთხოვია. შემდეგ, როდესაც დანელიას არ მიუცია, წაუღია ფულათ 10 მ., 12 მანეთის სხვა და სხვა ნივთი და მიმალულა.

— დაუპატიმრეს სპარსეთის ქვეშევრდომი მახმუკ ქურაბან-ოღლი, რომელსაც ქურდობა ბრალდება.

— 4 აგვსტოს სალიანის ქუჩაზე მე-7 სპოლიციო ნაწილის პოლიციელებმა დააპატიმრეს საგენერალ-გუბერნატოროს საზღვრებიდან გადასახლებული და თფილისში თავის ნებით დაბრუნებული იოსებ ოსიკაშვილი, რომელსაც პასუხისგებაში აძლევენ.

დღევანდელი ვითარება.

I

ბევრ იმედ დაკარგულ მწერალს, პუბლიცისტს, თუ უბრალო მკითხველს, დღევანდელი სახ. დუმა გონია მიზეზი რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ასე დავრდომის, დაკნინების.. მაგრამ, აბა ვინ იცის, რომ დუმა თავისთავათ აქ არაფერ შუაშია. განა კიდევ ვისმესთვის სადავოა ის „ძველი და მუდამ ახალი“ ჭეშმარიტება, რომ ყოველ კლასობრივ სახელმწიფოში და მით უფრო დღევანდელ კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულში, რომელშიაც ხალხის პოლიტიკური ცხოვრება უკიდურესათაა განვითარებული, ყველა პოლიტიკური დაწესებულება და განსაკუთრებით სახალხო წარმომადგენლობა—პარლამენტი და ამ პარლამენტის უფლებების სიფართოვე, თუ სივიწროვე ნაყოფია უკვე სინამდვილეში, რეალურათ არსებულ პოლიტიკურ ძალთა ურთიერთობისა? განა ეს უნდა დაივიწყოს, ვისაც პოლიტიკაზე მსჯელობა უნდა? ვინც ამას ივიწყებს და მხედველობაში არ ღებულობს, იმას პოლიტიკის „ინჩი“ არ გაეგება!.. და, აი, როცა ჩვენ გვინდა დავგმოთ, ან დავიცვათ რომელიმე ასეთი ტიპის დაწესებულება, სწორეთ ამ თვალთახედვის ისრით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რუსეთის დუმის „მოღვაწეობაც“ ამ თვალსაზრისით უნდა გაისინჯოს...

იყო დრო, როცა რუსეთში არავითარი სათათბირო არ მოგვეპოებოდა, როცა მთელ რუსეთს განაგებდა ერთი მუჭა ჩინოვნიკობა, მაგრამ, რახან ქვეყანაზე მუდმივი და უცვლელი არაფერია, ასეთმა „წესწყობილებამაც“ თავისი დრო მოჭამა და 1905 წელს „სახალხო წარმომადგენლობა“ შემოიჭრა ძველ წყობილებაში. მართალია, დღევანდელ სახ. სათათბიროს უფლებანი (კომპეტენცია) არ გვაძლევს სრულ ნებას, რომ მას სახალხო წარმომადგენლობა—პარლამენტი ვუწოდოთ, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ის ერთათ ერთი პოლიტიკური დაწესებულებაა „ბიუროკრატიულ რუსეთში, რომელსაც, ასეა თუ ისე, მოძრაობაში მოყავს ყველა ძველი და ახალი კლასები, პოლიტიკური პარტიები თუ კერძო ჯგუფები. რის მაქნისია დუმა, რას გვიკეთებენ დეპუტატები? სხედან და ჯამაგირებს ღებულობენ და აქ კი, ჩვენ სულს გვიხუთავს ბიუროკრატიაო—გაჰკივიან ერთნი.

— რატომ ის დალოცვილი მთავრობა არ მიფერთხავს ერთხელ და სამუდამოთ დუმას და არ აღადგენს თვითმპყრობელობას?—ჩივიან მეორენი!

— ჩვენ კი ვეტყვით ყველა იმათ, ვინც ასე მსჯელობს, რომ ისინი ივიწყებენ ჩვენ მიერ ზევით დასახელებულ ჭეშმარიტებას და სწორეთ იმიტომ აყენებენ ასე უკულმა კითხვას. და, მართლაც, დუმის სურვილებზედაა დამოკიდებული რუსეთის განახლება? ანდა მთავრობის სურვილზე ჰკიდია ძველი რეჟიმის სავლებით აღდგენა? ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ამდენ ხანს განა „კონსტიტუციას“ შეგვარჩენდენ?

1-ლი და მეორე სახ. დუმა სათათბირო შეეცადა რუსეთში კონსტიტუციონურ-დემოკრატიული წყობილების განმტკიცებას, მაგრამ შესძლო კი? მთავრობაც სცდილობს დღეს ძველი წესების სავლებით აღდგენას და წარმომადგენლობის ნასახის გაქრობას, მაგრამ გახდა კი რამეს? ასე რომ, აქ წმინდა სურვილებით „გარეშე ძალების“ დაუხმარებლათ ვერც მთავრობა და ვერც დუმაც ვერას გახდენ!.. ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, რომ 1905 წლამდის არავითარი სათათბირო არ გვქონდა-თქო; იყო მხოლოთ შეუზღუდველი ბიუროკრატიული წყობილება და, აი, სწორეთ, ერთ დროს ეს ობსოლიუტური წეს-წყობილებაც პროგრესიულ მოვლენათ ითვლება ისტორიაში და ხელს უწყობდა სახელმწიფოს განვითარება-აღორძინებას, შემდეგ ის დროთა ვითარების განმავლობაში პირდაპირ შემაფერხებელი გახდა აწინდელ მრეწველობა აღებ-მიცემობის განვითარებისათვის... კერძო საკუთრება საწარმოვო იარაღებზე და „საქონელზე“ მოითხოვს ყველა მათი პატრონთა დამოუკიდებლობას, პირადი ინდივიდუალური თავისუფლებას, მოითხოვს პირადი მოქალაქობრივ ცხოვრების უზრუნველ საყოფათ იურიდიულ ნორმებს, მოითხოვს—კონსტიტუციას...

ობსოლიუტიზმი კი ყველა ამაების პრინციპიალური წინააღმდეგია, მას არ სწამს არავისი პირადი თავისუფლება, გარდა თავის თავისა, ის მტერია მოქალაქობრივ ცხოვრების, ის სპობს კერძო და საზოგადო ინიციატივას და მით წინ ეღობება პროგრესს, კულტურას ცივილიზაციას... აი სწორეთ ამ ნიადაგზე იწყება სამკვდრო-საცოცხლო ბრძოლა ძველსა და ახალ კონსტიტუციონურ წყობილებას შორის! რაც შეეხება რუსეთს, აქ მით უფრო რეგრესიულ როლს თამაშობს ბიუროკრატია, ის რუსეთის განსაკუთრებულ ისტორიულ-ეკონომიური პირობების გამო პროლეტარიატის და გლეხკაცობის მეტის მეტი შემავიწროებელია, და სხვათა შორის ესეც დაედვა მიზეზათ იმ „საკვირველ“ მოვლენას, რომ რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში პირველობა ამ კლასებს ერგო და არა ბურჟუაზიას. მართალია, 1863 წელს რუსეთში გაუქმებულ იქმნა „ბატონ-ყმობა“, მაგრამ გლეხკაცობის 99 პროცენტი თითქმის ისევ ძველ პირობებშია, დღესაც ლერწამივით იზრქება გლეხი ბატონის კლაჭებში!.. მისი თავისუფლება ამ შემთხვევაში უდრის იმ უმუშევრათ დარჩენილ პროლეტარის „თავისუფლებას“, რომელსაც შიმშილისაგან ცოლ-შვილი ამოსწყვეტია და თვითონაც ერთი თვის უკმელს ჭლექი გასჩენია და ლოგინათ ჩავარდნილა... ისიც მართალია, რომ გლეხისთვის მოსამართლეთ დღეს პირდაპირ საკუთარი ბატონი არ გამოდის, არამედ კერძო დამოუკიდებელი, მიუდგომელი „სუდი“. მაგრამ ეს მაუდგომელი მოსამართლეც ხომ იგივე ყოფილი მებატონეებია...

უმუშევრათ დარჩენილი.

(შემდეგი იქნება)

პროვინციის ქრონიკა

ოზურგეთი. ქალაქის თვითმმართველობამ ოზურგეთში სტამბის (საბეჭდავი) გახსნის ნებართვა გამგეობისთვის სასურველ პირობებში გადასცა ბ. მ. თალაკვაძეს, რომელსაც ამ ჟამათ წიგნის მაღაზია აქვს აქ. ვიმედოვნებთ, რომ ახლო ომავალში ოზურგეთში სტამბა გვექნება.

— მომავალი რეალური გიმნაზიის საჭიროებლოდ ფულების მოკრეფა ადგილობრივი ადმინისტრაციის [illegible] შეჩერებულ იქნა, ვინაიდან 70,000 მანეთის მობოჭვის შესახებ „ოფიციალური“ ნებართვა სათანადო მთავრობიდან არ აღმოჩნდა.

რათა საქმე არ დაბრკოლდეს და ხელახლა სასურველი მსვლელობა მიიღოს, მიღებულია ყოველივე ზომა ნებართვის ასაღებათ.

— თუმცა-ღა ქალაქის სანიტარულ კომისიას მრავალი აუცილებელი საქმეები აქვს გასაკეთებელი, მაგ. სისუფთავის დაცვა, სანოვაგეზე ყურადღების მიქცევა და სხ., მარა დღემდე კომისიის ნამოქმედარს ვერას ვხედავთ. საჭიროა მისი გამოფხიზლება.

— 1 აგვისტოს სოფ. ლიხაურში ცივ სამარეს მიაბარეს ჯერ სულ ახალგაზდა 26—27 წლის ყოფილი ბათუმის ქარხნის მუშა ეტიფანე შავიშვილი. პროცესიას აუარებელი ხალხი დაესწრო. მიცვალებულის კუბო მრავალი გვირგვინებით იყო შემკული. ეტ. შავიშვილი ცნობილი იყო, როგორც პატიოსანი და დაუღალავი მუშაკი. ის მტკიცეთ იცავდა დაჩაგრულთა და ღარიბ არა-მქონე კლასთა ინტერესებს და სიხარულით შეჰყურებდა მომავალს, მარა ულმობელმა სიკვდილმა უდროოთ, სამუდამოთ დაახუჭვინა თვალები და ნაცვლათ ნეტარებისა მას მიუჩინა ცივი, უფსკრული სამარე. ეტ. შავიშვილი 5—6 წელი ბათუმის ქარხანაში მსახურებდა უბრალო მუშათ, 1904 წელში რევოლიუციის ქარტეხილის წყალობით ქარხანა დაიკეტა, ცალკე უმუშევრობა და ცალკე „სუსხი“ ქარხნის ადმინისტრაციის სანუგეშოს ვერას უქადიდა რას, რის წყალობით ის იძულებული შეიქნას გურიაში გადაბარგებულიყო, მარა აქაც დევნა დაუწყეს.—სხვა სიკეთესთან ერად „ბოროტის ენების“ წყალობით ერთ მშვენიერ დღეს ეტიფანეს სარჩო-საბადებელი (სახლ-კარი) ცეცხლს მისცეს. ამის შემდეგ მას ვხედავთ თფილისში. აქ ის ვერავითარი „სასურველ“ ადგილს ვერ შოულობს (თუმცა ღა ერთი თვით ლაღიძის ქარხანაში მსახურებს მუშათ, მარა ქარხნის ადმინისტრაციის სასტიკ რეჟიმს ვერ უძლებს და ტოვებს) და მიდის განჯაში, მარა იქიდანაც ადრე ბრუნდება ხელ ცარიელი. 1908 წ. ვგონებ სექტემბრის ბოლო რიცხვებში, (კარგათ არ მახსოვს), ის უკანასკნელათ შემხვთა ტრამვაის ვაგონზე თფილისში, ძალზე გამხდარი—დასნეულებული... ძლივს ვიცანი... ჩემს შეკითხვაზე, თუ რა დაემართა: „ვგონებ მაციებს, არც მე ვიცი რა მჭირს, მინდა სახლში წავიდე. იქ უსათუოდ გამოვრჩებიო“,—იყო პასუხი. შემდეგ მართლაც და სამშობლოში დაბრუნდა, მარა გამომრთელების მაგიერ ლოგინათ ჩავარდა და ხანხრძლივი ავათმყოფობის შემდეგ ულმობელმა სენმა (ჭლექმა) სამუდაოთ მოაშორა წუთი სოფელს. ეტიფანეს ხსოვნა მუდამჟამს აღმოუფხვრელი იქნება მისი ამხანაგების გულიდან.

—

ქუთაისი. კვირეული ჟურნალი. ბ. გრიგოლ გიორგაძეს გუბერნატორისათვის უთხოვია, ნება დართოს მას ქუთაისში უოფვლკვირეული ჟურნალი გამოსცეს. ჟურნალს სახელათ „ფოთი“ ერქმევა.

— ახალი წიგნი. იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ საამდროვო, სამეცნიერო გამომცემლობა „კოლხიდა“-ს მეოთხე წიგნი: „**სახმო წესით**“ კითხვის სწავლება (შკოლის დაკვირებიდან). წიგნი შედგენილია ანდრეა შუბლაძისაგან და ზედ დართული აქვს მოძრავი ანბანი.

— სასამართლო. ოდქის სასამართლოს თავმჯდომარემ რევიზია მოახდინა სამაზრო მოამრიგებელ სასამართლოების. რევიზიის შემდეგ ის ერთი თვით დასასვენებლათ წავიდა. მის თანამდებობას ასრულებს სოფლო სასამართლოს წევრი ბ. სოფლომან მიქელაძე.

— სტუდენტი გორდეზიანი. რაგორც ამას წინათ ვწერდით, ახლათ გურს-დასრულებული იურისტი გ. გორდეზიანი რაჭაში ბოდიცეამ შეიპყრო და თფილისში გაგზავნა. მას აბრალებენ ბახტაძის ქვრივის მოკვლას. გორდეზიანი 1453 სტატიის ძალით არის ბასუხის გებაში მიცემული.

— არქიმანდრიტი პიროსი. მოწამეთის [illegible] ბერქაშენდრ[illegible] პიროსს შემოსავალ-

კასაგლის წიგნი დასწყია. ამ წიგნში მოთავსებული ეოფილა მოწამეთის მონასტრის შესავალ-გასავალი 1906 წლიდ 6. წიგნის დაწყვა რადაც უნინურ ბიჩოებში მოთხლარა. დამწყარა ის ადგილები, სადაც სანგარიშო ციფრები ეოფილა ადნუსხული. წიგნის კინს და სხვა მასალოებელ ნიეთებს ტექტლისაგან ზიანი არ მოსვლია. ამ საქმის გამო დანიშნულია გამოძიება. ბიჩასი ამ ყამთ ოფიციალ-იმერეთის სინოდალურ კანტორაში მსახურებს.

— რკინის გზის სადგური. რკინის გზის სადგურზე, როგორც ვიცით, ბილეთების აღების დროს მგზავრები რიგში დგებიან. ხშირათ არის მაგალითი, რომ დედა-კაცს მარტო უნდება რკინის გზით მოგზაურობა. მ�ა კაცებთან რიგში ჩადგომა, ჩვენი ძველებური ჩვეულებით, მოთოვის უხერხულია. კასასთან მდგომ ბიროთოვის მათ ფუდის გადაცემა არ შეუძლიათ და ამ რიგით ქალებს, უფალზე ბოდიშს უნდებათ ბილეთების აღება. კიდევ კარგი, თუ ტოტა მგზავრები მაინც იქნენ, ან და ხანაკები არ აქვს ასეთ მგზავრ ქალს გადასატანი, თორემ აუცილებლათ დარჩენა მოელის. სასურველია, ამ გარემოებას ჯერეოვანი ეურადღება მიაქციოს რკინის გზის მთავრობამ და ასეთი დიბრკოლებანი თავიდან აცილოს მგზავრ-ქალებს.

კორესპონდენცია

სოფ. საგარეჯო (თფილისის მაზრა). წელს ს. საგარაჯოს და მისი რაიონის სოფლებს პურის მოსავალი კარგი მოუვიდათ. აგრეთვე კარგა ბლომათ მოიხსენებამა. გლეხებს უხარიანთ ამ უხვი სარჩოს მოსვლით. არც ამ სოფლის მოხელეებსა აქვთ ნაკლები სიხარული: ამ წლის სახელმწიფო ხარჯი და ათასგვარი გადასახადები ხომ გადაახდევინეს და ახლა ძველი ორი წლის ხარჯიც, რომელიც „თავისუფლების“ დროს არ გადაუხდიათ—ზედ მივიდენ და ერთბაშათ ყველას წელს ახდევინებენ. დაფაცურდენ სოფლის წურბელა მევახშეებიც და პურსა და გლეხების სხვა ქონახულს ჩალის ფასათ ყიდულობენ ამ უკანასკნელებისაგან, ვინაიდან ამათ მეტი გზა არ აქვთ, მათგან უნდა ისესხონ ფული სახელმწიფო ხარჯის გასასტუმრებლათ.

— საგარეჯო, ალბათ, ბევრ მკითხველ საზოგადოებას მოეხსენება, ერთი უდიდესი სოფელია მთელ ქართლში, სამაზრო ქალაქებს ბევრათ არ ჩამოუვარდება მცხოვრებთა რიცხვით და სიდიდით, მაგრამ, საუბედუროთ, მასში მხოლოდ ერთი ორკლასიანი სამინისტრო სკოლაა!.. არსებობს აგრეთვე სასოფლო ბიბლიოთეკა, მაგრამ ამ ჟამათ ღვთის ანაბარათ არის მიტოვებული და ამიტომაც ვერავინ სარგებლობს მით. წარმოიდგინეთ, თვეზე მეტი ვიყავი ამ სოფელში და ერთხელ ვერ ვეღირსე მის გაღებას, რომ წამეკითხა რომელიმე ეურნალ-გაზეთი ან წიგნი!.. როგორც გადმომცეს, ბიბლიოთეკის გამგეთ ერთი ამ სოფლის მასწავლებელთაგანი ყოფილა და ეს უკანასკნელი და ბევრი სოფლის ინტელიგენციაც რეაქციის მსხვერპლნი გამხდარან და ამ ჟამათ თფილისში არიან დაპატიმრებულნი, როგორც „არა საიმედო“ პირნი, მაგრამ საკვირველია, ნუ თუ ზემოხსენებულ მასწავლებლის მეტი არავინ მოიპოვება ამოდენა სოფელში ისეთი, რომ იკისროს ბიბლიოთეკის გამგეობა?

— როგორც გადმომცეს, ამ სოფლის შვილთა ერთ ჯგუფს შეუგროვებია წარმოდგენების მართვიდან ოცი თუმანი ფული და განზრახვა აქვთ ააშენონ სოფელში სახალხო თეატრი. თუ ეს მართალია, ვუსურვებთ ხსენებულ ჯგუფს, რომ ეს მათი ფრიად სიმპატიური განზრახვა გამარჯვებით დააგვირგვინონ, ხოლო რაც შეიძლება მალე, თორემ აქ აგარაკათ მოსულ ახალგაზრდათაგან გამართული წარმოდგენების ფასები გლეხთათვის ხელმიუწვდენელია. მაგალითად, ადგილების ფასები 2—3 მანეთიდან 20—30 კაპეიკამდეა! სად შეუძლიან გლეხს ამ ფასის გადახდა..

— 15 აგვისტოს დანიშნულია წარმოსადგენათ „ქართველი დედა“ და ერთიც ვოდევილი. ვურჩევთ ინიციატორებს, წარმოდგენისთვის ამაორჩიონ ხოლმე უფრო თანამედროვე პიესები, რომელიც მეტს ეტყვის ხალხის სულსა და გულს და ცხოვრებაში ჩაახედებს.

დიმ. მ—ლი.

ოზურგეთი. სად. ნატანებიდან ოზურგეთამდე მოგზაურობა არსოდეს არ ეოფილა კარგ ბირობებში ჩაუენუბუდი, მაგრამ წელს, როდესაც ძალიერი სიცხისაგან გამწარებული ხალხი არა-ჩვეულებრივათ დაქანა ქალაქებიდან გურიის სოფლებში და ბანბარასაკენ, აქეთ მგზავრობა გაციდებით უფრო აუტანელი ხდება, ვინემ გასულ წლებში.

ნატანებში არც ერთ მოსულ მატარებელს თავის დროზე ეტლები არ ხვდება და თუ დახვდა, იმაზე რიცხვი იმდენათ მცირეა, რომ გურიაში მიმავალ მგზავრების ერთ მესამედს არ აკმაყოფილებს, მარა ეს კიდევ არაფერი. ამას ზედ ერთვის ზოგიერთ მეეტლეების თავგასულობა. ამაში ბ-ნი სიდეგან ს. (აქაური „სტარასტა“ ოზურგეთის თავისუფალ ეტლთა ამხანაგობის) ტოლი არა აქვს. მაგალითისთვის შორს არ წავალთ. ამ დღეში ოფიციალის მატარებლით სადამოს 10 საათი იქნებოდა 15-მდე მგზავრი მოგვდით სად. ნატანებში ოზურგეთში წასასვლელათ. სიდეგანიც აქ დაგვხვდა, ვსთხოვეთ ბ-ნ სიდეგას, რომ მოეცა ჩვენთვის ამხანაგობის ეტლი. მან მოკლეთ მოგვიჭრა: არც ერთი ეტლის გაშვება არ შეიძლება ამადამო. რამოდენიმეჯერ გავუმეორეთ თხოვნა, მაგრამ მისგან ისევ უარი ისმოდა. რა გზა გვქონდა: წავედით და დავნაწყდით ნატანების ტრაქტირ-სამეკეტნოებში. ინეთა თუ არა დადამ, მაშინვე აგვაქვთ ცარიელ ტახტისაკენ გვერდებ დაბეჟილები და გვეშურეთ სადგურისაკენ და შევიტეკეთ, რომ ბ-ნ სიდეგანს ამ დამესვე მიუცია ეტლი ამ მგზავრთათვის, ვინც მისი აღვირ-წასხნილი სიმსუნაგე დაკმაყოფილა, შევიტეკეთ, რომ ბ-ნ სიდეგანისაგან ასეთი სიქცეული არ ახალია ძველია, შევიტეკეთ, რომ მას ძალიერ ჰყვარებია ნუხვა და სხვა სპირტეული.

ამ დროს მოდის ერთი ეტლი ოზურგეთიდან, რამოდენიმე მგზავრი მიეგვიდეთ მეეტლესთან და ვსთხოვეთ ოზურგეთში წაგვანა. ის გვეუბნებოდა, მარა კაზნდა ბ-ნი სიდეგანი და ნება არ მისცა მეეტლეს წაგვეყვანეთ, ცხენები დადგიდაო და დამატა დიდიანი კამოვა და იმაში ჩაჯექითო. ჩვენც დავეთანხმეთ, რაკი ცხენებს მართლა დასვენება უნდოდა. დეიდეგანიც მალე კამოვიდა ჩაგვჯექით და გავემგზავრეთ ოზურგეთისაკენ. გავიარეთ თუ არა რამოდენიმე გზა იგივე ეტლი, იმავე ცხენებით დაგვეწია სხვა მგზავრებით. ჩვენს კამოვრეგებს საზდარი არ ქონდ. გეკითხებოდი ჩემ თავს: ნუ თუ ასეთი სინდისის პატრონ ადამიანს ასეთი საპასუხისმგებლო ადგილი უნდ. უჭირავს ხსენებულ ამხანაგობაში, იმ ამხანაგობაში, რომელსაც მიზნათ დასახავს კერძო მეეტლეებისაგან ხალხის უსაზღვრო ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლა?

ეგონა, რომ ამ ნაგობის გამგე იმდენათ კი აძლევს ანგარიშს მგზავრთა ინტერესებს, რომ ასეთ უმსგავსო მოქმედებას ადგომავს.

ხ. ცხომელიძე.

მუშათა შორის

სადგური ევლახი. აქ აუტანელი პანანაქება სიცხეა, რასაც ხელს უწყობს ირგვლივ მდებარე ტბები, საიდანაც მყრალი სუნი ამოდის, რის გამო ახლო გავლაც კი ძნელია.

დაბალ მოსამსახურეთა მდგომარეობა ამ პირობებში აუტანელია, ამას ხელს უწყობს ბევრნაირი შევიწროება უფროსების მხრივ, მაგალითად მეისრე ავად გახდა, ის უნდა გამოცხადდეს სადგურის უფროსთან ბილიუტენის მისაღებათ, რის შემდეგ უნდა მიმართოს ექიმს; მაგრამ ხშირათ ასე არ ხდება: ექიმის როლს თვით სადგურის უფროსი ასრულებს, ენისა და მაჯის ნახვის შემდეგ, ეუბნება: „არა გიშავს რა, შეგიძლია სამსახურიო“ ამისთანა საქმენი უფროსებსაც ბევრგან ჩაუდენიათ.

— ახლა ნავთის მილის მოსამსახურეთა მდგომარეობას უნდა შევეხო, მართალია, აქ ბილიუტენისა და ავათმყოფთა მდგომარეობა უფრო კარგს ნიადაგზეა დაყენებული, მაგრამ ნაკლიც ბევრი სუფევს. ხშირათ ავათმყოფობის და მილის გაფუჭების გამო მოსამსახურეთ უხდება ზედმეტი მუშაობა, რაიცა ძლიერ ღლის მუშებს და საათები კი არ ეწერებათ რიგიანათ. ე. ი. იმდენი, რამდენიც ნაჩვენებია ბრძანებაში № „306,“ კანტორშჩიკი ვაღ დებულია გამოკიდოს ტაბელი ყოველ დღე, სადაც ნათლათ დაინახავთ ვის რამდენი დაეწერა, მაგრამ ეს უბრალო რამეც კი არ კეთდება თავის დროზე. თუ მუშამ შეამჩნია, რომ ნაჩვენები საათი არ უდრის ნამდვილს, მაშინ უნდა მიმართოს უფროსს, რომელიც ვალდებულია გადაასწოროს (положеніе мастеровыхъ и рабочихъ, პარაგრაფ 14).

მუშების კანონიერ მოთხოვნილებას ფეხით თელავენ. „გაეთრიე აქედანო“ ეუბნებიან, კანტორშჩიკი კი, რომელმაც დაუშვა ეს შეცდომა დგას და თავისთვინ ლუღლუღებს „მიჩივლეთოთ“.

ასე აბუჩათ აგდება იმ მუშისა, რომელიც წელებზე ფეხს იდგამს, ოფლში ღვრება ნავთში და ტალახში ისვრება, არ შეიძლება.

ბატონებო, მაგისთანა მუშებს ისედაც ბევრი მცარცველები ყავს და მათი ზედ დამატება რაღა საჭიროა?

იმედი მაქვს, რომ ამისთანა შეცდომა შემდეგში მაინც არ განმეორდება.

ვიციძე.

სოფ. სისიმოდანი. (ერევნის გუბერნია) ერთი თვე არის რაც სპილენძის საღნობ ქარხნის წარმოება განაახლა ბ-ინჟენერ გრელსკიმ და ჯერ-ჯერობით სამი მუშა დაასახიჩრა.

ყოველგან ასეთ სამუშაო დარგებში საკუთარ ხარჯზე დაქირავებული ფერშალი ყავთ უბედურ შემთხვევის დროს დახმარების აღმოსაჩენათ. ბ. გრელსკის არა ჰყავს, ან კი რათ უნდა, ისედაც იოლათ მიდის. ვინ ყავს პასუხის მომთხოვი? 27 გასულ ივლისს ხეზე მუშაობის დროს უეცრად ჩამოვარდა მუშა მ. თევზაძე შიგ ხრამში გადაეშვა და თვალი ძლიერ დაუშავდა. ორი დღე უექიმოთ იყო მიგდებული საწყალი. ჭკუაზე კინაღამ შეიშალა, ისე დაზიანებული ქონდა თვალი. ორი დღის შემდეგ მისმა ძმამ წაიყვანა თფილისში ექიმობის აღმოსაჩენათ. ორ აგვისტოს ამავე თვეს ბ. გრელსკის ერთი ქვაბი მაზუთი მოსვლოდა სად. შაგალაში. ორ მუშა ბერძენს და სომეხს აცლევინებდა ქვაბს ბოჭკებში. 15 საათი მუშაობით ვერ გამძლარა ბ. გრელსკი და ღამით ამუშავებდა მუშას. მოუნდომებია გაგება ბევრია შიგ კიდევ მაზუთი თუ არაო და ჩაუნათებია შიგ სანთელი. უცაბედათ გამორჩენია შიგ ცეცხლი და გავუხვევია ზედ მომუშავე ორი მუშა ცეცხლის ალში. ერთი მუშა საშიშრათ არის დაშავებული. მეორეს ხელი აქვს მოტეხილი და ბევრი სხვა ადგილასაც არის დაშავებული.

საქიროა, ასეთ თავხედ მექარხნეს ყურადღება მიექცეს.

ბაილეთელი

ბ. ვთხოვ „თფ. ფურც.“ ეს წერილი გადაბეჭდოს.

თეატრი და ხელოვნება

ს. ჭრებალო (ლეჩხუმი). კვირას, 19 ივლისს აქ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ აქვე ახლო მომავალში დასაარსებელ ფოსტა-ტელეგრაფის კანფოფიდების სასარგებლოთ წარმოდგენილ იქნა: „ცემბირელი“, და „ჭკუისა მჭირს“ კომედ. ს. ცაგარელისა.

წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დასწრო, მაგრამ ადგილის სიგიწროვის გამო ბევრი იძულებული გახდა ან შინ წასულიყო, და ან წარმოდგენის დასრულებამდე გარეთ მოცადა. ხალხი დიდი თანაგრძნობით შესდა წარმოდგენას.

მაყურებლის დარსნი არიან ყველა, ვინც კი რამე შრომა მიიღო ამ წარმოდგენის გამართვაში, უმთავრესათ კი სცენის მოყვარე ვაჟები და მანდილოსნები, რომელნიც ვერ შეაწერა ვერავითარმა დაბრკოლებამ, რაც მათ ოჯახურ ნაბიჯზე წინ ედგებოდა.

შემთხვევა იყო 94 მან. ამ ფულებიდან სცენის მოყვარეებმა შეიძინეს „სამუდამო ფარდა“ და ფოსტა-ტელეგრაფის შენობის რემონტისთვის გადასდეს 29 მან., რომელიც გადაეცა ბ. ვენ. ცხვედიანს.

კან-ვინ.

ხონი. აგერ ხუთი წელია, თუ მეტი არა, რაც ხონში საზაფხულო თეატრს სძინავს. ეოველ წლივ ზაფხულობით ხონში ათიდან-თუთხმეტ წარმოდგენამდე იდგმება, და სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, თითქმის ეოველ წარმოდგენას ხალხი ბლომათ ესწრება. წელსაც ჩვეულებრივ მოქმედებს საზაფხულო თეატრი. ჯერ ხანდ ამ ზაფხულში ხუთი წარმოდგენა გამართეს. ითამაშეს სამი ისტორიული პიესა: „პატარა კახი“, „სამშობლო“ და „დალატი“, ეს უკანასკნელი პირველათ დადგა ხონის სცენაზე, და დამსწრენი წარმოდგენამ ადტაცებაში მოიყვანა. ორი თანამედროვე პიესაც ითამაშეს: „მეზობლები“ რამიშვილის, და ანდრეევის ოთხ მოქმედებიანი სცენები „დიდნი ჩვენი ცხოვრებისა“. ამ უკანასკნელმა პიესამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. მით უმეტეს, რომ პარტერში, რეალურ ცხოვრებაში ვხედავდით ნუნუსაგან გაფეშილ სტუდენტებს, რომლებიც წარმოდგენის დროს ძილს მისცემოდენ. ნასიამოვნები წარმოდგენით, ხალხი წარმოდგენის გათავებისას შემდეგი ბასათ დაშალა.—„უცხონე მაშა, ამის დამწერს, რა კარგათ გაშოუდანძდავს სტუდენტები“.—„რა გაშოუდანძდავს ჩემო, ძმაო, მართალი არ არის თუ“?—უპასუხებდა მეორე—„ჩვენი სტუდენტობა ქვეყნისა, და არშიყობასაა გადაყოლილი, ვერ დაინახავთ, ერთი სტუდენტი რაგორ გორავდა ჩვენ გვერდით დგინია „კალეშილი“.—„რა კოორვდაო“ მიუგო მესამემ „ეუბნინ სტუდენტები არ იყო „თარი-ბარალი“ არდანზე, რომ ქეფობდენ“. სეზონი არ დასრულებულა. ჯერ კიდევ მოსალოდნელია ერთ-ორი წარმოდგენის გამართვა.

კარგს იზამს ბატონის ადმინისტრაცია, თუ მომავალში ისტორიულ პიესებს გვერდს აუქცევს და საზოგადოებას თანამედროვე პიესებს მაჩვენებს.

ილია ბახტაძე.

ყურადღება რედაქციის ძიძართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მომცეთ ნება შევეკითხო „ზაკვკაზიეს“ რედაქტორს თავ. კიორგი ამირეჯიბს შემდეგი: რითი და რა მოსაზრებითი ხელმძღვანელობს ბ-ნი ამირეჯიბი, როდესაც იგი ჩემზე წერს ხოლმე და აქებს თუ არა მას და მისთა ძმათა ჩემთან კერძო რამე ძველებური ინტერესი? და რომ მას ინტერესებს პირადპირ კერძო ინტერესი და თავს, როგორც აქნაზმის არ იტკივებდა, არც ახლა იტკივებს. საზოგადო ინტერესისთვის და არც სიმართლე და პატიოსნება ინტერესებს, ეს ცხადზე უცხადესი ამას აქეთ მაინც, როდესაც ამ ვაუბატონმა „დროებიდან“ ჩემს შესახებ დამახინჯებულათ წერილის შინაარსი კადიდო და მერმეც კი არ კასწორა თავისი ურცხვი საქციელი, რომ თქვენმა გაზეთმა სამართლიანი შენიშვნა უძღვნა. ამიტომ მე წინადადებას ვაძლევ თავ. ამირეჯიბს დაუფიქრებლად კასწორის თავის შეცდომა ოვალისა გაზეთში და მასთან დამიმტკიცოს, რადის და რაში გამოიჩინა სკამოს წერეთელმა „ორბირობა“ და „ამხანაგების კვლა“ და რანაირათ. კიცდით ოთხ დღეს, კრიზიგორი! ვნახოთ თქვენი მოქადაქობა რას გვეტეყვის.

დავშთები თქვენი მარად პატივისმცემელი

ხვიმონ ნიკ. წერეთელი.

p. s. ვთხოვ სხვა გაზეთებ ც კადაბეჭდონ. **ს. წ.**

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. დადიშკელიანი.

სიკვდილი ბაღლინჯოებს.

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას გაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ. დარიგება თან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთათ ერთი საწყობი თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 30—16

პროვოდნიკის

ამხანაგობა

რიგაში



1888

1908 წ.

საფაბრიკო საწყობის განყოფილება ამიერ-კავკასიისთვის

თფილისში სოლოლაკის ქუჩა, № 4.

იყიდება ნარდათ და ცალობით

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთული ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასამდე.

დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.

დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.

რეზინის ღრუბელი.

სავარცხლები რქის რეზინისაგან.

№ 4. **ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო**

№ 2. **გალოშების „პროვოდნიკისა“**

(25—6.—31).